



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
2 აპრილი, 2018


ეკონომიკა

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2018 წლის თებერვალში რეალური მშპ 5.5%-ით გაიზარდა წინა თვის 4.4%-იანი ზრდის შემდეგ. ზრდა აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში: დამამუშავებელი მრეწველობა, უძრავი ქონების ოპერაციები და ვაჭრობა. ჯამურად, 2018 წლის პირველ ორ თვეში მშპ-ს რეალურმა ზრდამ 4.9% შეადგინა. რეალური მშპ-ის ყოველთვიური მაჩვენებელი იანვარიდან დღეის ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების საფუძველზე.

საგადასახდელი ბალანსი: ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2017 წელს საგადასახდელი ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ს 8.7%-მდე შემცირდა 2016 წლის მშპ-ს 12.8%-დან და 1.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (-28.8% წ/წ). მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდოს ფორმირებაზე, ტრადიციულად, ძირითადი ზეგავლენა საქონლით ვაჭრობის უარყოფითმა ბალანსმა იქონია, რომელიც წლიურად 0.7%-ით შემცირდა 3.8 მლრდ აშშ დოლარამდე, რადგან საქონლის ექსპორტი 23.9%-ით, ხოლო იმპორტი 9.9%-ით გაიზარდა. მომსახურებით ვაჭრობის დადებითი ბალანსი, წლიურად 27.7%-ით გაიზარდა და 2.1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ს 13.6%). მომსახურების დადებითი ბალანსი მნიშვნელოვნად ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა დააგენერირა (+27.0% წ/წ). მიმდინარე ტრანზფერტების დადებითი სალდო 1.3 მლრდ აშშ დოლარი იყო (+13.3% წ/წ, მშპ-ს 8.4%). ერთობლივად, მომსახურების და ტრანზფერტების ბალანსმა საქონლით ვაჭრობის ბალანსის 87% დააფინანსა. წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომელიც მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს, 1.6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (+33.3% წ/წ, მშპ-ს 10.5%).

საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 2018 წლის თებერვალში წლიურად 17.2%-ით გაიზარდა და 21.9 მლრდ ლარი შეადგინა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების ზრდა 20.0% იყო). ამასთან, საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 2018 წლის თებერვალში წლიურად 15.9%-ით გაიზარდა 19.2 მლრდ ლარამდე (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით ზრდა 19.0% იყო). ამასთან, დეპოზიტების დოლარიზაციამ 63.7% შეადგინა (-6.7პპ წ/წ და -0.6პპ თ/თ). საანგარიშო პერიოდში უმოქმედო სესხები 2.8%-ს გაუტოლდა (-1.0პპ წ/წ და -0.1პპ თ/თ).

სესხების და დეპოზიტების დოლარიზაცია




წყარო: სტბ

ეკონომიკური ინდიკატორები

	2M18	2017	2016
მშპ (%-ლი ცვლილება)	4.9%	5.0%	2.8%
მშპ ერთ სულზე (PPP)	...	10,644	10,043
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	...	4,079	3,865
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	2.7%	6.7%	1.8%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.0	3.0	2.8
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	...	8.7	12.8%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	...	3.9%	4.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	...	44.1%	44.4%

წყარო: ოფიციალური მონაცემები

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2017-18

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №9 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №16 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №67

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგები

 BB- სტაბილური დადასტურებული მასივი-2017	 Ba2 სტაბილური დადასტურებული სექტორული-2017	 BB- პოზიტიური დადასტურებული მარტი-2018
---	--	--

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები




ფულადი ბაზარი

რეფინანსირების სესხები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 820.0 მლნ ლარის (337.8 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 7-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა.


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები: უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2018 წლის 4 აპრილს, სადაც 1-წლიანი 40 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ
შენიშვნა: ბოლო აუქციონის მონაცემი.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




წყარო: სებ

სადავოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)



წყარო: სებ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ვერობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ვერობლიგაცია (BGEOLN) დაიხურა 5.7%-იანი შემოსავლიანობით, ფასით - 101.3 (-0.2% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს ბანკის ლარში დენომინირებული ვერობლიგაცია GEBGG 06/20-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 100.5 (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით), 10.7%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს კაპიტალის ვერობლიგაციები GEOCAP 03/24-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 97.0 (-0.3% წინა კვირასთან შედარებით), 6.7%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ვერობლიგაციები GEOROG 04/21-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 104.0 (-0.2% წინა კვირასთან შედარებით), 5.3%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 119.7 ფასად (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით), 5.2%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით - 108.1 (-0.2% წინა კვირასთან შედარებით), 4.0%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა %)



წყარო: ბლუმბერგი


	Local bonds				Eurobonds					
	GWP 12/21	M2RE 10/19	Nikora 06/19	GLC 08/20	GEOCAP 03/24	GEBGG 06/20	GEOROG 04/21	BGEOLN 07/23	GEORG 04/21	GRAIL 07/22
მოცულობა მლნ აშშ \$	30*	25.0	10.0	10.0	300	500*	250	350	500	500
გამოშვების თარიღი	12/16	10/16	08/17	8/17	03-18	06-17	04/16	07/16	04/11	07/12
დაფარვის თარიღი	12/21	10/19	06/19	8/20	03-24	06-20	04/21	07/23	04/21	07/22
კუპონი, %	10.50*	7.5	9.0	7.00	6.125%	11.0	6.750	6.000	6.875	7.750
Fitch/S&P/Moody's	BB-/	-/-	-/-	n/a	-/B2e	BB-/Ba2	BB-/B+	BB-/B1	BB-/BB-/Ba2	B+/B+
საშუალო ფასი, აშშ \$	n/a	103.0	101.3	101.3	97.0	100.5	104.0	101.3	108.1	109.7
საშუალო პროცენტი %	n/a	5.5%	3.8%	6.50%	6.7	10.7	5.3	5.7	4.0	5.2
Z-spread, bps	n/a	n/a	n/a	n/a	403.6	346.1	264.7	300.3	134.4	250.5

წყარო: ბლუმბერგი

*GWP 12/21 და GEBGG 06/20 მოცემულია ლარში

** მცურავი განაკვეთი (სებ-ის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 3.5%)

Georgian Eurobond universe



წყარო: ბლუმბერგი

აღმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ვერობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ქვეყანა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი, %	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody's)	საშუალო ფასი, აშშ \$	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
საქართველო	500	6.875%	12/04/2021	BB-/BB-/Ba2	108.1	4.0	134.4
აზერბაიჯანი	1,250	4.750%	18/03/2024	BB+/BB+/Ba2	100.8	4.6	187.6
ბულგარეთი	323	5.000%	19/07/2021	BBB-/BB-/Baa2	116.2	0.1	-25.0
ხორვატია	1,250	3.875%	30/05/2022	BB/BB/Ba2	111.2	1.1	89.4
უნგრეთი	3,000	6.375%	29/03/2021	BBB-/BBB-/Baa3	109.0	3.2	55.0
რუმინეთი	2,250	6.750%	07/02/2022	BBB-/BBB-/Baa3	111.3	3.6	91.5
რუსეთი	3,500	5.000%	29/04/2020	BBB-/BBB-/Ba1	103.4	3.3	72.2
თურქეთი	2,000	5.625%	30/03/2021	BB+/BB/Ba2	103.6	4.3	167.4

წყარო: ბლუმბერგი




აქციები

BGEO ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 35.56 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.23% წინა კვირასთან შედარებით და +4.90% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 269 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 35.00 – 35.88 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 75 ათასი აქცია შეადგინა. FTSE 250 ინდექსი, რომელშიც BGEO შედის, წინა კვირასთან მოიმატა 0.73%-ით ხოლო წინა თვესთან დაიკლო 1.15%-ით. ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.68% შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 18.40 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (-0.54% წინა კვირასთან შედარებით და +17.65% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 310 ათასს გადააჭარბა, GBP 18.32 – 19.00 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 90 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 3.09 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (-0.96% წინა კვირასთან შედარებით და -6.36% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 19 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 3.00 – 3.25 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 10 ათასი აქცია შეადგინა. მოცემულ კვირაში ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.02% შეადგინა.


BGEO ჯგუფი (BGEO LN)



თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)



აღმოსავლეთ ევროპის ბანკები								
კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.	
BGEO	BGEO	35.56*	1,963	3.8%	0.0%	9.1%	0.0%	10.8%
TBC	TBC	18.4*	1,381	13.6%	5.1%	10.8%	5.1%	27.0%
Halyk Bank	HSBK	13.80	3,793	-3.2%	39.7%	51.0%	39.7%	91.4%
KKB	KKB	0.68	712	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	-44.3%
VTB Bank	VTBR	1.96	12,688	-5.0%	7.0%	-8.9%	7.0%	-15.6%
Vozrozhdenie Bank	VZRZ	7.38	175	-12.4%	-15.2%	-24.1%	-15.2%	-44.0%
Sberbank	SBER	18.63	100,541	-6.5%	10.0%	30.9%	10.0%	57.7%

წყარო: ბლუმბერგი
*BGEO და TBC აქციების ფასი მოცემულია ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში

ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები								
კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.	
GHG*	GHG	3.09*	570	-6.4%	-13.0%	4.7%	-13.0%	-11.7%
Mouwasat	MOUWASAT	46.99	2,350	0.7%	16.1%	11.0%	16.4%	23.7%
Fortis	FORH	1.89	982	-23.3%	-24.6%	-14.1%	-24.6%	-32.0%
Raffles	RFMD	0.88	1,554	2.5%	4.7%	5.8%	4.7%	-13.2%
IHH	IHH	1.57	12,900	0.9%	8.5%	15.0%	8.5%	15.3%
Bangkok Chain	BCH	0.55	1,367	5.1%	10.2%	20.1%	10.2%	44.0%
Netcare	NTC	2.36	3,473	11.6%	16.4%	34.4%	16.4%	11.5%

წყარო: ბლუმბერგი
*GHG აქციის ფასი მოცემულია ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მოზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს ბიჯუი ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოხილვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზარაბული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევია, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგო უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge